



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



## ღია საგრანტო კონკურსი

„სოციალური მომსახურებების განვითარება აჭარის,  
გურიის, იმერეთის და კახეთის რეგიონებში“

**პროექტი:**

**სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება  
სოციალური მომსახურებების  
განვითარებისთვის**



## ინფორმაცია ორგანიზაციისა და პროექტის შესახებ

ასოციაცია „ანიკა“ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების მიერ 1997 წელს დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაცია. მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს <http://www.anika.ge>

**ასოციაცია „ანიკა“ ევროკავშირის მხარდაჭერითა და დაფინანსებით ახორციელებს სამწლიან პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“. პროექტის პარტნიორია თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი.**

მას შემდეგ, რაც საქართველომ 2013 წელს მოახდინა გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის რატიფიკაცია, ბევრი ნაბიჯი გადაიდგა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრული რეალიზაციის კუთხით შშმ პირებისათვის, მათ შორის, ხარისხიანი სოციალური მომსახურების შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ხორციელდება მოწყვლადი ჯგუფებისათვის განკუთვნილი მომსახურებების მიწოდება საქართველოს მასშტაბით, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აფერხებს მათ ხარისხიან განხორციელებას; მათ შორისაა: შშმ პირთა ჩართულობისკენ მიმართული მომსახურებების შეზღუდული რაოდენობა, მომსახურების მიმწოდებელთა შორის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა რეგიონებში და უფლებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების სიმწირე.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, აღნიშნული პროექტით უკვე განხორციელდა სამიზნე რეგიონებში არსებული სოციალური მომსახურებების შეფასება და ახალი სოციალური მომსახურებების საჭიროების კვლევა. პროექტით დაგეგმილია უფლებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების შემუშავება და პილოტირება სამიზნე რეგიონებში. ასევე, კონკურსის შედეგად შერჩეული სოციალური მომსახურებების მიმწოდებელი რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Association “Anika” and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ასოციაცია „ანიკა“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# საგრანტო კონკურსის აღწერა

## 1. კონკურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

**კონკურსის მიზანია** საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების საჭიროებებზე რეაგირება და მათი აღვოკატირება.

**კონკურსის ამოცანაა** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდებას.

### **კონკურსის მოსალოდნელი შედეგები:**

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი შესაძლებლობები და მონაწილეობა შშმ პირებისათვის სოციალურ მომსახურებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფისათვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაუმჯობესებული ცოდნა, დამოკიდებულება და უნარ-ჩვევები შშმ პირებისთვის ხარისხიანი სოციალური მომსახურების მიწოდებისთვის.

## 2. ზოგადი ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ

საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურებების დანერგვასა და პილოტირებას **4 სამიზნე რეგიონის შემდეგ მუნიციპალიტეტებში:**

- ✓ აჭარა - ხულოს, შუახევის და ქედას მუნიციპალიტეტები;
- ✓ გურია - ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები;
- ✓ იმერეთი - ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტები;
- ✓ კახეთი - ყვარელის მუნიციპალიტეტი.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელდება პერსონალური ასისტენტის, შინმშობლისა და აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურებების დანერგვა-მიწოდების პილოტირება. პროექტი მხარს უჭერს აღნიშნული სერვისების მულტიკომპონენტური/მულტიფუნქციური სახით დანერგვას.

**პროექტის ფარგლებში, სოციალური მომსახურებების მიწოდების გარდა შესაძლებელია დაფინანსდეს შემდეგი აქტივობები:**

- ქსელური აქტივობები (მაგ. შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და ა.შ) და სწავლება;

- გაცვლითი ვიზიტები და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის ცოდნა-გამოცდილების გაზიარება;
- თემის მობილიზება და ოჯახის/ თემის წევრთა გაძლიერება;
- მოხალისეობის ხელშეწყობა;
- მომსახურებების მიმწოდებელ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და/ან ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება;
- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების მიდგომისა და პროგრამების შემუშავების პოპულარიზაციის მიზნით სამუშაო შეხვედრების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარება;
- ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები, ადვოკატირების აქტივობები, საკომუნიკაციო აქტივობები (სატელევიზიო და რადიოგადაცემები, ვებგვერდები), პუბლიკაციები;
- მომსახურების მიწოდების ფართის მცირე შეკეთება/ინფრასტრუქტურული მოდიფიცირება.

**საგრანტო კონკურსი ჩატარდება 2 საფეხურად: განმცხადებელმა თავდაპირველად უნდა წარმოადგინოს პროექტის მოკლე მონახაზი (ე. წ. concept note), ხოლო მეორე ეტაპზე გასული მონაწილე შემდეგ წარადგენს სრულ განაცხადს.**

### **3. საგრანტო კონკურსის პირობები**

#### **3.1 მონაწილეობის უფლება**

- კონკურსში დაიშვებიან რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისა) და საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:
- ორგანიზაცია/ჯგუფი იზიარებს უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების ხედვას და გამოთქვამს მზაობას მოახდინოს გაწეულ მომსახურებაში მისი ინტეგრირება;
- ორგანიზაცია/საინიციატივო ჯგუფი აღიარებს ადამიანის უფლებების მნიშვნელობას და თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე ითვალისწინებს პრინციპს „არ ავნო“. საქმიანობისას პატივს სცემს ადამიანის ინდივიდუალობას და პირად სივრცეს, აქვს მაღალი მიმდებლობა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ და სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალობის ან სხვა ნიშნის საფუძველზე არ ახდენს ადამიანების ან/და ჯგუფების დისკრიმინაციას.

- გრანტების გაცემისას უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციას/საინიციატივო ჯგუფს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და საქმიანობს სამიზნე მუნიციპალიტეტში/რეგიონში. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი შემოაქვს სხვა რეგიონში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, მან განაცადი უნდა შემოიტანოს კოაპლიკანტთან-ადგილობრივ ორგანიზაციასთან ერთად ან დაიქირავოს ადგილობრივი პერსონალი (ქვე-გრანტის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში დასაქმებული პერსონალის არაუმცირეს 70%).
- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, არარეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფი გაივლის საზოგადოებრივ ორგანიზაციად რეგისტრაციას.

**ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომელიმეს დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს განაცხადის კონკურსიდან მოხსნას ან უარს ხელშეკრულების გაფორმებაზე.**

### **3.2 საგრანტო ბიუჯეტი და განხორციელების ვადა**

- საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაიცემა გრანტები 4 ლოტზე;
- ორგანიზაციას/საინიციატივო ჯგუფს შეუძლია განაცხადის შემოტანა ლოტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ, რამდენიმე ან ყველა მომსახურებაზე;
- თითოეულ გრანტზე გათვალისწინებული თანხაა 15 000-დან - 60 000 ევრომდე;
- საგრანტო დაფინანსება გათვლილია 8 თვეზე - 01.05.2022-დან- 31.12.2022წ-მდე, საიდანაც პირველი 2 თვე დაეთმობა საპილოტე სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის/საინიციატივო ჯგუფის შესაძლებლობების გაზრდას მის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების მეშვეობით.
- პროექტით გათვალისწინებული მომსახურება უნდა მოიცავდეს სულ მცირე 20 ბენეფიციარს (პრიორიტეტი მიენიჭება საპროექტო განაცხადს, რომელსაც ეყოლება 20-ზე მეტი ბენეფიციარი).

### 3.3 კონკურსით გათვალისწინებული სოციალური მომსახურებები და გეოგრაფიული მოცვა

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი სოციალური მომსახურებები სამიზნე რეგიონების მიხედვით:

#### ლოტი #1 - აჭარა:

- **ხულოს მუნიციპალიტეტში:**

- აბილიტაცია-რეაბილიტაციის მულტიდისციპლინური მომსახურების ან მისი ცალკეული /კომბინირებული კომპონენტების დანერგვა.

- **შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტში:**

- ხანდაზმულთა და მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე შშმ პირთა შინმოვლის დანერგვა, ცენტრალური ოფისით შუახევში;
- პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

#### ლოტი #2 - გურია:

- **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში:**

- აბილიტაცია-რეაბილიტაციის მულტიდისციპლინური მომსახურების ან მისი ცალკეული /კომბინირებული კომპონენტების დანერგვა.

- **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში:**

- ხანდაზმულთა და მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე შშმ პირთა შინმოვლის დანერგვა;
- პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

#### ლოტი #3 - იმერეთი:

- **ბაღდათის მუნიციპალიტეტში:**

- ხანდაზმულთა და მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე შშმ პირთა შინმოვლის დანერგვა;
- პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

- **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში**

- ხანდაზმულთა და მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე შშმ პირთა შინმოვლის დანერგვა;
- პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

**ლოტი #4 - კახეთი:**

- **ყვარელის მუნიციპალიტეტში:**

- აბილიტაცია-რეაბილიტაციის მულტიდისციპლინური მომსახურების ან მისი ცალკეული /კომბინირებული კომპონენტების დანერგვა.

**4. შერჩევის კრიტერიუმები**

თავდაპირველად შემოწმდება განაცხადების ტექნიკური მხარე (რამდენად გამართულად და სრულად არის წარმოდგენილი განაცხადი და მისი დანართები). შემდეგ, განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

#	კრიტერიუმი
1.	<p><b>ადამიანური რესურსები, ორგანიზაციული შესაძლებლობები</b></p> <p>1. საპროექტო განაცხადის წარმდგენი ორგანიზაციის და მისი გუნდის/საინიციატივო ჯგუფის წევრების გამოცდილება და მოტივაცია</p>
2.	<p><b>გეოგრაფიული კავშირი</b></p> <p>1. ორგანიზაცია/ჯგუფი რეგისტრირებულია ან/და საქმიანობს სამიზნე მუნიციპალიტეტში/რეგიონში</p> <p>2. პროექტის პერსონალი ცხოვრობს სამიზნე მუნიციპალიტეტში ან რეგიონში</p>
3.	<p><b>მომსახურების მიწოდების ხედვა</b></p> <p>1. საჭიროების აღწერის და მიზნების/ამოცანების ერთმანეთთან შესაბამისობა</p> <p>2. სამიზნე მუნიციპალიტეტში უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდების ხედვა</p> <p>3. საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა</p>

<b>4.</b>	<b>ბიუჯეტი</b>
	1. წარმოდგენილი განაცხადის/concept-ის ბიუჯეტის საერთო ოდენობა

ოგანიზაცია/ ჯგუფი, რომელიც ვერ დააგროვებს მაქსიმალური საერთო ქულის 60% ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე.

### **5.განაცხადის გამოგზავნის წესი**

განმცხადებელმა ორგანიზაციამ/საინიციატივო ჯგუფმა 6 აპრილის 18:00 საათამდე ელ. ფოსტაზე [anika.information@gmail.com](mailto:anika.information@gmail.com) უნდა გამოგზავნოს შემდეგი დოკუმენტები:

1. შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი N1 - საგრანტო განაცხადის ფორმა);
2. პროექტში ჩართული გუნდის წევრების მ.შ. თანაგანმცხადებელი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წევრების რეზიუმეები (CV) და სამოტივაციო წერილები;
3. ორგანიზაციის შიდა ფინანსური პოლიტიკის და პროცედურების ამსახველი დოკუმენტის ასლი;
4. მუნიციპალიტეტიდან მხარდაჭერის წერილი განმცხადებლის გამარჯვების შემთხვევაში მასთან თანამშრომლობის თაობაზე.

წერილის Subject-ის ველში გთხოვთ, მიუთითოთ „საგრანტო განაცხადი სოციალური სერვისების განვითარებაზე“

### **6.შერჩევის პროცესი და ვადები**

- საინფორმაციო შეხვედრები ზუმის პლატფორმის მეშვეობით რეგიონების მიხედვით:

**კახეთის რეგიონი- 30 მარტი, 2022; დრო 11:30**

იხილეთ ღონისძიებაზე დასასწრები წინასწარი რეგისტრაციის ბმული:

<https://us02web.zoom.us/meeting/register/tZYoceChqTkiHdyOJqJCahFEebngzeNcl8z4>

**იმერეთის რეგიონი - 30 მარტი, 2022; დრო 14:30**

იხილეთ ღონისძიებაზე დასასწრები წინასწარი რეგისტრაციის ბმული:



<https://us02web.zoom.us/meeting/register/tZYrd-uhrTssEteyhCJwaMglP65So9Et6766>

**აჭარის ა/რ - 31 მარტი, 2022; დრო 11:30**

იხილეთ ღონისძიებაზე დასასწრები წინასწარი რეგისტრაციის ბმული:

<https://us02web.zoom.us/meeting/register/tZ0sd-ipqjlvGdZMpcgoakyaUUEAV6sjUvYW>

**გურიის რეგიონი - 31 მარტი, 2022; დრო 14:30**

იხილეთ ღონისძიებაზე დასასწრები წინასწარი რეგისტრაციის ბმული:

<https://us02web.zoom.us/meeting/register/tZYsf-CogD4vE9W-WWnzcmR3QK7enCWhsatt>

- წერილობითი შეკითხვების მიღების ბოლო ვადა - **5 აპრილი, 2022 17:00 საათი** (პირველადი განაცხადისთვის/concept note), **25 აპრილი, 2022წ 17:00** (სრული განაცხადისთვის). ელ.ფოსტა [anika.information@gmail.com](mailto:anika.information@gmail.com)
- პირველადი განაცხადების/ concept note მიღების ბოლო ვადა - **6 აპრილი, 2022წ 18:00**
- საგრანტო კომისიის მიერ მეორე ეტაპზე გასული ორგანიზაციების შერჩევა - **11 აპრილი, 2022წ**
- სრული განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა - **25 აპრილი, 2022წ 18:00**
- საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით - **30 აპრილი, 2022**